საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/146

ქ. ბათუმი 28 დეკემბერი, 2022 წ.

ბსუ-ს პროფესორის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,g^1“ პუნქტის, 21-ე მუხლის, 35-ე მუხლის მე-4^1 პუნქტის, 37^2-ე მუხლის მე-5^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, 58-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 62^2-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 62^5-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის“, ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილების, ,ბსუ-ს პროფესორის და მთავარი მეცნიერი თანამშრომელის ატესტაციის წესის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 25 ოქტომბრის N06-01/110 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესორის და მთავარი მეცნიერი თანამშრომელის ატესტაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 07 ნოემბრის N07-01/49 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესორის ატესტაციის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის N06-01/140 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს რექტორის წარდგინებით განსაზღვრული ბსუ-ს პროფესორის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემდეგი შემადგენლობა:

ა) სალომე ღლონტი - ბსუ-ს პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
ბ) გივი ცეცხლაძე - ბსუ-ს პროფესორი;
გ) დავით ცეცხლაძე - ბსუ-ს პროფესორი;
დ) ნერიმან ციცაძე - ბსუ-ს პროფესორი;

ე) ეთერ ჯაყელი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი).

2. ბსუ-ს პროფესორის **საკონკურსო-საატესტაციო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2023 წლის 12 იანვრიდან 25 იანვრის ჩათვლით,** მათ შორის:

ა) 2023 წლის 12 იანვრიდან 16 იანვრის ჩათვლით - საატესტაციო კომისიის მუშაობა;

ბ) 2023 წლის 18 იანვარი - საატესტაციო კომისიის მიერ შემაჯამებელი ოქმის წარდგენა ბსუ-ს აკადემიურ საბჭოსათვის და ატესტაციის შედეგის ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნება.

3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტების და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 07 ნოემბრის N07-01/49 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პროფესორის და მთავარი მეცნიერი თანამშრომელის ატესტაციის წესით“, ,,ბსუ-ს პროფესორის ატესტაციის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის N06-01/140 დადგენილებით დამტკიცებული ატესტაციის კრიტერიუმებით, შეავსოს ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შეფასების ფორმა, N06-01/140 დადგენილების N3 დანართის შესაბამისად და წარმოადგინოს ატესტაციის შედეგების შესახებ დასკვნა, წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. დადგენილება დაეგზავნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტს და ბსუ-ს შესაბამის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს: სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30), ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**